



ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია
City Hall of Akhmeta Municipality



KA990191577967219

№ 19-ს 05 / იანვარი / 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და "ე.ი" ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "თ" ქვეპუნქტების 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლს მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500 - გე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები N1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2.მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაეველოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პოცესში.

3.თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ბღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის მიხედვით.

4.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის

ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველდღე 09-დან 17 საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებებში საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

1) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ქარუმაშვილი მობილურის N 591010151 ელ. ფოსტა: sosoqarumashvili@gmail.com

2) მერის მოადგილე ვანო ნასყიდაშვილი მობილურის N 599857877 ელ. ფოსტა: vajanasyidashvili@gmail.com

3) მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელი ბადრი ფილაშვილი მობილურის N 577523912 ელ. ფოსტა: badrifilashvili33@gmail.com

4) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი


იოსებ დეკანოზიშვილი მობილურის N 591010182 ელ. ფოსტა: sosodekanozishvili@gmail.com

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთათვის ბრძანების ოფიციალური გაცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით;

8. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. №101).

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

იოსებ ქარუმაშვილი